ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №109

2014 წლის 5 სექტემბერი,
ქ. ბათუმი

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის რეორგანიზაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-7 მუხლის, მე–8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. განხორციელდეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის რეორგანიზაცია და მის ბაზაზე ჩამოყალიბდეს: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და იურიდიული ფაკულტეტი;

ა) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე განხორციელდეს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამები	სწავლების საფეხური
1 2 3	საერთაშორისო ურთიერთობები ევროპისმცოდნეობა ფსიქოლოგია	ბაკალავრიატი
1	ფსიქოლოგია	მაგისტრატურა

ბ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე განხორციელდეს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამები	სწავლების საფეხური
1 2 3 4 5	ფინანსები საბუღალტრო აღრიცხვა მარკეტინგი მენეჯმენტი ეკონომოკა	ბაკალავრიატი
1 2 3	ბიზნესის ადმინისტრირება ეკონომიკა ფინანსები და საბანკო საქმე	მაგისტრატურა
1 2 3	ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი ეკონომიკა	დოქტორანტურა

გ) იურიდიულ ფაკულტეტზე განხორციელდეს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამები	სწავლების საფეხური
1	სამართალმცოდნეობა	**ბაკალავრიატი**
1	სამართალი	**მაგისტრატურა**

2. ეთხოვოს ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს წინამდებარე სტრუქტურული ცვლილებების დამტკიცება;

3. ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს მიერ ზემოაღნიშნული ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში დადგენილებაში აღნიშნული ცვლილებები ამოქმედდეს 2014 წლის 15 სექტემბრიდან;

4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე;

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**